

ALDA-ს პრეზიდენტის საახალწლო მილოცვა და მიმართვა

ALDA -ს ძვირფასო წევრებო, მეგობრებო და პარტნიორებო,

მმართველი საბჭოს, LDA-ების და ALDA-ს მთელი გუნდის სახელით გილოცავთ დამდეგს და გისურვებთ ნაყოფიერ 2023 წელს.

თუმცა, ყველას არ შეუძლია იზეიმოს ახალი 2023 წელი და მადლიერებით გააცილოს ძველი.

არაადამიანური და უსამართლო ომი, რომელსაც ახლა უკრაინელი ხალხი ებრძვის, მომიწოდებს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ALDA აგრძელებს თავის მისიას მშვიდობის აღდგენისთვის. უკრაინა ასოცირდება ხალხთან, სამშობლოსთან და თავისუფლებასთან. უკრაინა იბრძვის არა მხოლოდ თავიანთი თავისუფლებისთვის, არამედ ევროპის და მეზობელი ქვეყნების თავისუფლებისთვის. ეს ომი არის მუდმივი შეხსენება იმისა, რომ არ შეიძლება შევეგუოთ არსებულ სიტუაციას და გავაცნობიეროთ, რომ უკრაინის გასაჭირი ჩვენი გასაჭირიცაა. არ არსებობს მშვიდობა თავისუფლების გარეშე და არც თავისუფლება დემოკრატიის გარეშე... დემოკრატია კი ხალხის ნების გამოხატვაა.

2022 წლის მარტში, მმართველმა საბჭომ და სამდივნომ შექმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მიზანია ქმედებების კოორდინაცია და ახალი აქტივობების განვითარება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უკრაინისთვის კონკრეტული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. LDA Mariupol-ისა და LDA Dnipro-ს დელეგატებთან მუდმივი კონტაქტის დამყარებით, ჩვენ შევძელით მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ჩვენი პოტენციური და სწრაფად და ეფექტურად მოგვეხდინა რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე.

გარდა ამისა, 2022 წელი იყო გადამწყვეტი წელი ასოციაციისთვის, რომელმაც არ დაიშურა თავისი ძალისხმევა და ხაზი გაუსვა მისი, როგორც **სტრატეგიული მოთამაშის პოზიციას** ევროპულ სივრცეში და მეზობელ ქვეყნებში, როგორც სოციალური ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების, ასევე მოქალაქეების ჩართულობისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამის წარმატებული მაგალითებია მოლდოვა, ტუნისი, ალჟირი, ხორვატია და მრავალი სხვა ქვეყანა. გარდა ამისა, ჩვენ აგვირჩიეს ევროპის საბჭოს **ღირებულ და აკრედიტებულ პარტნიორად ELoGE -ის პროგრამის განხორციელების პროცესში.**

ALDA-მ გააძლიერა თავისი როლი, აჩვენა, რომ ემსახურება დემოკრაციას, მშვიდობას და ხალხს.

კერძოდ, 2023 წელს შესრულდება 30 წელი ბალკანეთში პირველი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს დაარსებიდან: ეს ის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც დაგვაფიქრებს სამი ათწლეულის განმავლობაში ჩვენს საქმიანობაზე ბალკანეთის რეგიონში. რეგიონში, სადაც დაუღალავად ვიშრომეთ იმისთვის, რომ მხარი დაგვეჭირა სამოქალაქო საზოგადოებისთვის და ევროკავშირის გაფართოებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს მოგვცემს მოტივაციას, გავაგრძელოთ განახლებული ენერჯით და ახალი სტრატეგიებით ჩვენი მუშაობა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების გაფართოებულ ქსელთან ერთად, რომლებიც დღეს წარმოდგენილი არიან ევროპის მეზობელ სახელმწიფოებში.

2023 წელს თანამშრომლობის სულისკვეთებით მოუთმენლად ველით ახალ მნიშვნელოვან მიღწევებს.

დაე, ეს ახალი წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სიხარულისა და ნუგეშის მომტანი მწუხარებაში მყოფი ადამიანებისთვის.

ALDA-ს პრეზიდენტი
ბატონი ორიანო ოტოჩანი